

რედაქცია: სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, მ. შადინოვის სახლში, № 33.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციაში. ბარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію „Дროზბა“.

გაზეთის ღირებულება: მთელი წლისა—8 მ., ნახევარ წლისა—5 მ., ხანისთვის—3 მ., ერთისთვის—1 მ.

საღებო ნომერი ღირს შაურად.

ფროეპა

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

ზასი განსახილველი: ღირსებით ასოზე 1 კაპ., ჩვეულებრივად ცეროთი—5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გაასწოროს და შეაწესოს და საბეჭდად გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

საღებო ნომერი ღირს შაურად.

ოთხი თვის ხელის-მოწერა

„ფროეპაზე“

მიიღება რედაქციაში—ბაღის (სადოვის) ქუჩაზე მ. შადინოვის სახლებში, № 33

შალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ აღრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дროзба“.

ზასი ოთხი თვის გაზეთისა, ე. ი. 1 სექტემბრიდან წლის დამლევამდინ, გაგზავნილი—სამი მანეთი.

საქართველო

ანტონ ფურცელაძის

(პასუხი)

სისხლ-არეულ კაცს რომ ტყინის ჩარხი უკუღმა დაუტრიალდება, მაშინ იმას ბევრი რამ ეჩვენება და ისეთ ნაირად აზოღებს, რომ არც ღვთის იყოს და არც კაცის!.. შირისუფლები ამ გვარსნეულს ხან მკურნალს მოჰგვრიან ხოლმე, რომ უწამლოს, ხან მღვდელს მოიწოდებენ, რომ ზეთი უკურთხოს და ულოცოს „შეშინებულისა“ და ხან-და-ხან მკითხავსაც კი დაუძახებენ ხოლმე, რომ „თვალნაცემის“ შეალოცვიონ... ძალიან ესწუხვარ, ჩემო მეგობარო ანტონ, რომ ესეები მომავონდა მაშინ, როცა შენი, ჩემთან მომართული, წერილი წავიკითხე!.. მხედავ, რომ რაღაცას გაუხურვებინარ, სიცხე მოუტია შენთვის და დავარდილობარ ქადაგავ; მაგრამ არ ვიცი კი თუ რისთვის ქადაგობ და ვისთან?..

ბუღის წყრომით ქაქნობ, რომ ახალგაზდები, ჩვენი ყმაწვილ-კაცობა, ერთმანეთს ემტერებიან, სდენიან, ლანძღვენ, ჰრუხნიან, აბეზდებენ და სხვანი-დასხვანიო!..

მართალი არის, ამაზედ ვინ არ დაგეთანხმებათ? მაგრამ რაღა მე მეუბნები მაგას? თუ მოძღვრათ მიკიდებთ და თქვენს ცოდვებს აღსარებათ მეუბნებით—კეთილი! იყე მიგეტევოს საზოგადოათ შენი ცოდვები, როგორც მე კერძოათ მზათ ვიყო, რომ შეგინდო!.. და თუ მე მამტყუნებ და იმიტომ მეუბნები, მაშინ კი სწორეთ შემცდარი ბძანებულხარ.

არ შეიძლება, რომ გადაიკითხოთ რაც მე მითქვამს და მიწერია ამ ოცის წლის განმავლობაში და მიჩვენოთ, ის ადგილი, სადაც მე პირადობით, მიდგომით, საზოგადო საქმესთან დაუშოკიდებელად, ვისმეს კერძობას შეეხებოდე და გამელანძლოს მხოლოდ პისთვის, რომ მე მისი ან ცხვირი, ან სხვა რამე არ მომწონებოდეს—ისე, როგორც თქვენ ბრძანებთ?! ამ გვარების არათუ წერით, სიტყვითაც მე ყოველთვის წინააღმდეგი ვყოფილვარ და ვარ!..

ამისათვის არ შემიძლია, რომ ჩემ თავზედ მივიწერო მაგვარები რამ, მაგრამ თქვენ კი, უმეტესობა, მაგ ცოდვაში ჩავარდნილი ბრძანდებით; თქვენ არ ხართ, რომ თქვენს ჰაზრებს ათჯერი ცვლით მარტის დღესათვის? ხან ერთს ამბობთ და ხან მეორეს ისე, როგორც გიჯობსთ და როგორც მოგიხდებათ?! და ეს რისაგან არის თუ არ მიდგომისა და პირადობისაგან? და ანუ მიუხდომელობისა და ტყინ-თხელობისაგან? ამ ორში ერთი უნდა იყოს.

როცა შენ მე დამიბტყიებ, რომ მე უსაფუძვლოთ ან ვისმეს ვაქებდი და ან ვლანძღვდი მხოლოდ კერძობით, მაშინ რაც შემოთა ვსთქვი, ის მე მომეწეროს და მანამდინ კი მე თქვენ გაწერთ და დამბტყიებასაც აქვე შეუდგები:

ბერი მაგალითი გვინახავს ამ ოცის წლის განმავლობაში, მაგრამ ყველას ვინ მოსთვლის? საკმაო იქნება ერთიც;—რადგანაც შენ თვითონ იხსენიებ ილია ჭავჭავაძეს, მაგალითად, თუ გინდა ის ავილოთ; რადგანაც უფრო სათვალ-დათვალო იქნება ყველასათვის: ამ ათითხუთმეტი წლის წინეთ, თქვენ არ ბძანდებოდით, რომ ილია ჭავჭავაძეს ღმერთ-კაცს ეძახოდით და მე შეიდეცაზედ აგყავდათ? მაშინდელი თქვენი თაყვანის-ცემა კერპ-მსახურებისა გვანდა. მის შეეძლო, რომ თქვენის შიშით წინააღმდეგი რამ იმ თქვენის ჰაზრისა არათუ ეთქვა, ან გაეფიქრა? მე კი მაშინ სხვა აზრისა ვიყავი ჭავჭავაძის შესახებ: მომწონდა, ვაფასებდი, სასარგებლო და ნიჭიერ კაცად მიმაჩნდა, და მსურდა, რომ იმისთანა სხვებიც გამოსულიყვენ ჩვენში. ღმერთ-კაცად და გენიოსად ვერა ვხედავდი და არც კერპ-სალოცავად გამიხდია ჩემთვის. ამ ჰაზრს მე არა ვფარავდი, ვაცხადებდი და მისთვის ბერი უსიამოვნებაც ვადამხდომია!.. თუ გაიხსენებ, პირადათ შენთანაც კი მქონია ბაასი.


დღეს, როდესაც ათმა-თხუთმეტმა

წელიწადმა გაიარა, მე ილია ჭავჭავაძე თუ უფრო არა, ნაკლებათ მაინც აღარ მიმაჩნია. ნიჭი არ მოჰკლებია, სწავლა და გამოცდილება მეტი აქვს და ნამსახურიც მეტი მიუძღვის, რომ უფრო დავაფასო და მივიმჩნიო. თქვენ კი, არათუ აღარ სწყალობთ აღრინდულათ, გინდათ, რომ ქვესწავლში ჩააძვრინოთ და ან დედამიწასთან გაასწოროთ. და რისი ბრალია ეს, თუ არ პირადობის და ან ტყინ-თხელობის? სხადია, რომ თქვენ ან მაშინ სტყუოდით და სცდებოდით, და ან ახლა!.. მაგრამ რომ არა სტყდებით? მარჯვნივაც მართალს ეძახით თქვენს თავსა და მარცხნივაც... მე კი ყოველთვის მტყუანი გამოვდივარ თქვენის სიტყვით და შესაყვედურებით, რომ ილია ჭავჭავაძეს მისთვის ექომაგები მიდგომით, რომ გვერდში გიდგასო და სხვანი.

არა, ჩემო ბატონო, მე ჩემი აზრი მაქვს და ნუ გამირისხდები მისთვის! თუ აღრე ილიას თაყვანის-ცემაში მონაწილებას არ ვიღებდი და მის შესახებ ალტაცებაში ვერ გეთანხმებოდით, ვერც ახლა დაგიჯერებთ, რომ იმისთანა კაცები, როგორც ილია ჭავჭავაძე, მანანოვი ბოგებაშვილი, შიშიკაშვილი და სხვანი გასაკიცხავები, სალანძღავები და სადევნელები იყვენ...

უფრო განათლებულ ქვეყნებში, სადაც ათასობით ჰყავსთ სასარგებლო და საქები კაცები, არათუ სდენიან მშრომლებს, პატივ-დიდებაშიაც ჰყავთ, აფასებენ, არ ცდილობენ მათის ღირსების დამცირებას და არ უქარწყლებენ ნაშრომ-ნამსახურს. ჩვენ კი სულ სხვა ვართ: ჩვენში ენას მწერლობაში იმათ ლანძღვაში იდგმენ. როდესაც „ჩვენი დევგმირები“ წავიკითხე, სიცილი ამიფარდა: ჰინჭრაქა (ლობე-მძვრალა) მომავონდა, რომელიც, როგორც ხალხშია ნათქვამი, ქუხილს რომ გაიგონებს, გადატრიალდება, ფეხებს ცას შეუშვერს და მზათ არის, რომ ცა, თუ ვინიცობა, ჩამოვარდა, ფეხებით შეაჩეროს და დედამიწა გადაარჩინოს!.. მე მეგონია, რომ ყოველი რიგიანი და დარბაისელი კაცის რიგი იყო, ვინც კი იცნობდა მის ავტორს, ეთქვა მისთვის:

— „ბიძიავ, ეგ ლანძღვა და დაცინვა შენ არ შეგფერის... მასთან არც წინ და არც უკან არა მიგიძღვის-რა, რომ მაგვარად იკუღაბზიკაო!.. რათ ენები იმისთანა რამეს, რომელიც შენი ქულის საქმე არ არის? შრთხილათ იყავ და



გულს მაინც ნუ წაბილწავ ტყვილა-უბრალოთ და სხვანი!..

მიმორბე, რომ სიმართლის მოყვარესა და რიგიან კაცს ამის თქმა არ გაუძნელდება. მაგრამ თქვენ კი სულ სხვა ნაირად ირჯებით: აქეზებთ მაგვარ რამეზედ იმ საცოდავეებს და მათი სულელური ლანძღვა კი გმირობათ მიგაჩნიათ და როცა მათზე რასმეს იტყვიან, შებრალებით თუ დაცინით, იმას კი ლანძღვა-გინებას ეძახით და ჯორივით ტლინკავთ!

ბი სწორეთ მაგვარ კაცებზე იყო დაწერილი „მირები“; ის ჩემი ლექსი, რომელსაც შენ მანგრე გაუცხარებინარ... ქველათფერს თავის შესაფერი სახელი უნდა დაუძახოს კაცმა: ქურდს რომ ქურდი დაუძახოს კაცმა და ვირს ვირი, ის კი არ იქნება შეურაცყოფა და უკადრისა გინება, არა; ის მართალი იქნება! მაგრამ ბედაურებს რომ ვირებს ეძახიან და პატრონებს ქურდებს, ის კი მართლა საძაგლოებაა და საწყენიც რიგიან კაცებისათვის...

ბი ერთი ჭეშმარიტება უნდა ვითხრა, ჩემო მეგობარო: როდესაც რამე საგანი ანუ ნივთი შესანიშნავ მალალ ადგილზე სძევს, მაშინ იმას ყველა ხედავს ძალა-უნებურად, შორეულიც და ახლობელიც. თუმცა ის საგანი ანუ ნივთი არც ფერს იცვლის და არც ხორცს თავის-თავათ, სულ ერთი და იგივეა, მაგრამ ყველას კი სხვა-და-სხვა ნაირად ეჩვენება: ზოგს შავი ჰგონია, ზოგს თეთრი, ზოგს ღიდი, ზოგს პატარა და სხვანი და სხვანი და სხვანი. ეს იმის ბრალია, რომ ყველას ერთნაირი მხედველობა არა აქვს; ზოგს მეტათ უჭრის თვალს და ზოგს ნაკლებ, ზოგი ერთი მხრიდამ უყურებს და ზოგი მეორედამ. ძაციც სწორეთ ასეა: როცა ის ამალღდება, ყველა იმას მიიჩნევს, უნდათ თუ არა მანც თვალში ეჩრებათ. ზოგი ერთის მხრით უყურებს და ზოგი მეორე მხრით; ზოგი მართლ უზურგსა ჰხედავს, ზოგი თავს, ზოგი ფეხს, ზოგი რას და ზოგი რას,—ერთის სიტყვით, იმ მხარეს, საიღამაც უყურებს. და რომ მაშინ თვითთაველმა მათგანმა დაიჯინოს, რომ იმ კაცს მის მეტი, რაც მე მინახავს, არა აქვს-რაო; ზოგმა სთქვას, მართლ ფეხები აქვსო, ზოგმა—მირტო თავი, ზოგმა—მართლ უზურგიო და სხვანი და სხვანი, იმ მალლა ასულის კაცის რა ბრალი იქნება?! მასაც უნდა, რომ მართალი და შეუმცდარი ჰაზრი იქონიოს, უნდა ავიდეს იქვე, სადაც ის კაცი სდგას, ათვალთვირ-ჩათვალთვიროს ის კაცი, ასწოროს, გაზომოს და მერე დააფასოს; თორემ ისე ჰაზრის გამოთქმა და ლანძღვა-გინება ან თავხედობა იქნება და ან სიბრძნე...

ამგვარი დამფასებელი და მგმობლები დღეს ბევრი არიან ჩვენში და იმათი მხრის მიმცემი და წამქეზებელი კი თქვენ, საზოგადოთ ვანბობ, ბრძალებით.

და ახლა გვკითხავთ: ვინ ყოფილან მლანძღველები? ჩვენ, თუ თქვენ?..

რაც უნდა გეთქვა, როგორც უნდა შემხებოდი, არას გეტყობი სამაგიეროს,

ჩემო ანტონ, რომ ერთი ცილა არ შემოგეწამებია ჩემთვის: „ისე დაეჩვიეო ლანძღვას, რომ ახალ-გაზღობასაც აღარ ზოგაშო!“ ბი აღარ შემეძლო გაეჩვიე-ბულიყავ... და დაგიბტიცებ, რომ ჩვენ კი არა გეძულს ახალ-გაზღობა—ბი ჩვენ არ გიყვარსთ! მაგრამ ჯერ, სანამ მაგის დამტიციებას შეუდგებოდეთ, უნდა ავხსნათ, თუ როგორ გვესმის სიტყვა „ახალ-თაობა“, ახალ-გაზღობა ან ჩვენ და ან თქვენ.

სწენა გვაქვს ერთხელე არჩეული გზა, რომელსაც მივყავართ ერთ გადაჭრილ მიზნისაკენ: ეს მიზანი არის ქვეყნის ერთგულება, საზოგადო საქმეებზედ თავის-დადება, კეთილის დახმარება და ბოროტების დევნა-წინააღმდეგობა შეუპოვრად, გაბედვით, უშიშრად და თავგაწირულად, პირადობის მიუხედავად. მისაც კი დაეინახეთ ამგვარადვე შიმქმედთ, იმას ეძახით ჩვენთან და მიგაჩნია ნათესავად, ერთ-სისხლად და ერთხორცად. ამგვარივე კაცები მოხუცებულეებშიაც იშობიან; მაგრამ, რადგანაც იმათი რიცხვი ახალგაზღებში, როგორც ჯერ ცხოვრებისაგან გაუფუჭებელში, მეტია, ამისათვის ამგვარ კაცებს ეძახით საზოგადოთ „ახალთაობის“ კაცებათ. წლოვანებით არ ვარჩევთ; ბევრი მოხუცი გყავს ახალ-თაობის რიცხვში და ბევრი ახალგაზღა კი არა.

თქვენ კი, როგორც ვეტყობათ, სულ სხვა გვართ გვეყურებათ სიტყვა „ახალ-თაობა“; თქვენის შეხედულობით, ვისაც ჭაღარა ურევია, აღარ არის ის სასწენებელი, აღარ ეკუთვნის „ახალ-თაობას“ და ვისაც კი ჯერ თმა არ გათეთრებია, ის უთუოდ „ახალ-თაობის“ კაცია და იმაზედ ქების მეტი აღარა გაიბეღება-რა და სხე...

მართი მაგალითი უნდა მოვიყვანო: პირველ საუკუნოებში, როცა ქრისტიანობა ვრცელდებოდა ხალხში, ბევრი ისეთი ცრუ ქრისტიანებიც იყვნენ, რომელნიც გარეგნობით ქრისტიანობას სჩემობდნენ და საქმით კი იმისთანა საძაგლოებას ჩადიოდნენ, რომ ქრისტიანობას სახელს უტეხდნენ და მტრებს მითი გულს უკეთებდნენ. მინც მაშინ იმათ დაუწყებდა დევნას, მათს ფარისევლურ მოქმედებას გამოაშკარავებენ, ნუ თუ ის ქრისტიანობის ორგული, მტერი იქნებოდა და არა ერთგული, მოყვარე?

სწორეთ ამ გვარად დღესაც არიან ჩვენში მისთანა ახალგაზღები, რომელნიც „ახალთაობას“ ჩემობენ და თავის საძაგელ ქცევით კი სახელს უტეხენ ახალგაზღობას და ჩვენ რომ ამ გვარი პირები ვსდევნოთ, არ ვიწამოთ ახალ-თაობის კაცებათ, გავლანძლოთ და გავკიცხოთ, ნუ თუ ეს ჩვენის მხრით მტრობა და სიძულილი იქნება ახალგაზღობისა და არა სიყვარული და ერთგულება?

თქვენ რომ ამისთანა კაცებზედ ხმას არ იღებთ და ხშირად ხელსაც აფარებთ, ნუ თუ ეს ახალთაობის სიყვარული გგონიათ და ერთგულება?

მეორე მაგალითი: რასაკვირველია, თქვენც კარგათ მოგეხსენებათ ისტო-

რიიდამ, რომ საშუალო სკოლების დროს, როდესაც ვაცხარებულნი ვიყავით, როსნების“ ომი იყო, უფროსების მიზანდევით აიჭურვენ რამდენიმე ათაი ახალ-გაზღა, ყმაწვილები წამხედრდენ სარაციებთან საომრად. მაგრამ ისიც ხომ იცით, თუ ამ ყმაწვილებს რა ბოლო ჰქანდათ? რასაკვირველია, რომ ვერცარა იერუსალიმს არგეს და თავიც დაილუვეს. სურვილი გაუფუჭდათ! მინც მაშინ იმ ახალგაზღებს აქეზებდნენ და აგულიანებდნენ საომრად წასვლაზედ, ნუ თუ ისინი იერუსალიმის და ქრისტიანობის ერთგულნი იყვნენ? და მაშინ რომ ვისმეს ეთქვა იმ ბავშვებისათვის:

„— შეიღებო, თქვენ გაგზარდოსთ ღმერთმა, რა კარგი სურვილი და ჰაზრი თქვენ გაქვს! მაგრამ ჯერ მოიცადეთ, ნუ გამოიცილით ამ სურვილს გულიდამ, გაიზარდეთ გულში. თქვენც დაიზარდენით, დავაჟკადით, ძალ-ღონე მოამატეთ და მერე წადით საომრად. თორემ ჯერ სულ-წასულობით რომ ითავებდით, ვერც საქმეს გაარიგებთ და თქვენ თავსაც აზიანებთ!“

ნუ თუ ეს მამა-შვილური დარიგება ქრისტიანობის საწინააღმდეგო და საწინააღმდეგო იქნებოდა?!

ბი შემოხსენებულ ბავშვებისა არ იყოს, ჩვენშიაც რომ შევხედეთ ჯერ უსუსურ ახალგაზღებს, რომელთაც სურვილი კარგი ქონდესთ, რომ იმოქმედონ, მაგრამ ყოველის მხრით და ყოველ გვარად კი მოუშინადებლები იყვნენ, ნუ თუ ჩვენი ვალი არ იქნება, რომ ისინი დავარიგოთ, ვუჩიოთ, რომ ჯერ დაიზარდენ, მოგმზადონ და მერე იბრძოლონ? და თუ რჩევა აღარ გავცივიდა, მაშინ ვალანძლავ, დაცინება ვაკიცხვავ და ამგვარი სხვა რამეებიც რომ ვინმართ მათ შეცდომილებისაგან გამოასყენათ, ნუ თუ ეს მტრობა იქნება ჩვენის მხრით ახალგაზღობისა საზოგადოთ და არა მოყვრება?... და ნუ თუ ისინი, ვინც ან განძობავით, ან სიმბთლით, ან სხვა რამ საპირადო ანგარიშით, გულგრილად შეჭყურებენ იმათ შეცდომებს და ხან-და-ხან კიდევ უწონებენ, მოყვრები არიან და არა მტრები ახალგაზღობისა?

დასასრულ ესეც უნდა გკითხოთ: ვინ არის ის ყმაწვილი კაცი, რომელსაც თქვენ ისე აქებთ და მე მწამებთ, რომ ვითომც სახეში მყოლოდეს, როცა ვირხედ ლექსსა ვსწერდი? რატომ არ მეტყვი? რა გენადლეება მეც ვიცოდე? დასამტიციებლოდ მისა, რომ ის ლექსი, როგორც შემოთა ვსთქვი, საზოგადოთ არის დაწერილი ბევრზედ და ერთი კი არავინ მყოლია მხედველობაში, ვიმოწმებ უფ. ს. მესხს; ეგ ლექსი ამ შედირვა წლის წინეთ მე გამოუგზავნე „ღროების“ რედაქტორს დასაბეჭდათ ერთად ფელტონთან, მაგრამ რედაქტორმა არ დამიბეჭდა და ასე მომწერა (ის ბართი ახლაც მაქვს შენახული): რადგანაც მუთისის თეატრის წრეში ურევიათ ზოგიერთი ყმაწვილები, რომლებთანაც შენ არა გაქვს კარგი განწყობილება, უეჭვე-



ლია, რომ ისინი თავის-თავზედ მიიღებდნენ მაგ ლექსს და ამისათვის აღარ დაეხებოდნენ. წელს უ. ჯავახიძეს გადავეცი დასაბეჭდათ და აქაც ისევ ის ამბავი მოხდა: ერთი ჩემი ნაცნობი, რომელიც მე ჩვენიანთ მიმართა და კარგის თვალთაც ვუყურებ, შემხვდა ამას წინეთ და მითხრა: რათ აგიწერივარო? მაგრამ ბოლოს, როცა მე სიცილი დავიწყე, თვითონაც მიხვდა, რომ შემცდარი იყო და სიცილით მომშორდა.

ახლა კიდევ შენ მიითვებ ვილაც ახალგაზდაზედ, მაგრამ დარწმუნდი, რომ ვე ვილაც არის, მე სახეში არა მყოლია და თუ მართლა მაგისთანა საქებია, როგორც შენ ამბობ, როგორ არა გრცხვენია, რომ ჩემი „ვირი“ მაგის სარკვეთ გაგინდია და ისევ შენვე ექმნაგები?... მაგრამ აქ სწორეთ რაღაც დიპლომატობა უნდა იყოს, რომელსაც მე ჯერ ვერ მივხვდარვარ..

აკაკი.

რედაქციისაგან დამოუკიდებელი მიზანის ბაგო, ამ ნომერზე ერთი დღე დაიგვიანა.

დღიური

* * * ძახეთილამ წლევანდელ ღვინის მოსავალზე ძალიან სასუფეშო ამბები მოგვდის; თელავიდან განსაკუთრებით იწერებინან, რომ ჩვენის უფზდის ზოგიერთ სოფლებში იმდენი ღვინო მოვიდაო, რომ ჩასასხმელი ჭურჭელი ვეღარ იშოვესო. თვითონ ღვინის თვისებას კი უჩივიან, ზოგან შარშან უკეთესი ღვინოები მოვიდაო..

შართლ-იმერეთის მომეტებულ ნაწილ სოფლებშიაც ღვინო ბლომად მოსულა წელს; მხოლოდ ზოგან იმერეთში და რამდენსამე ალაგას შართლშიაც ნაცარს და ქარს გაუფუჭებია ვაზი.

* * * თუმცა, მადლობა იმერეთს, დღეს გამოიღარა, მზემ გამოაჭყიტა თვალები, მაგრამ ამ სამი დღის გაუწყნარებელ წვიმის გამო, დღე-ამიწა ისე ღრმით არის დასველებული, რომ ამ კვირაში დოღის გამართვა მაინც შეუძლებელი იქნება. ამბობენ, რომ ამ დოღისათვის დიდძალი თათრები ჩამოსულან თფილისში და ცხენებიც ჩამოუყვანიათ, მაგრამ, რადგან ქალაქში ამისთანა ცუდი დღეები დაიჭირა და იმედი დაეკარგათ დოღის გამართვისა, ამის გამო შინ დაბრუნებულან.

* * * * თფილისის მოამბე* გვაცნობებს, რომ ერთი ჩვენებური სასწავლებლის ზედამხედველი, რომელმანც გამოიჩინა თავი იმითი, რომ თავის სასწავლებლის შაგირდებს გამხმარ, ჭიან პურს აქმევდა, დამპალ თევზსა, და ერთხელ მუშტიკრივიც გამართა თავის შაგირდების წინ, ეს ზედამხედველი სტოვებს თავის თანამდებობასაო და მიდისო. რაღა თქმა უნ-

დაო, ამბობს ხსენებული გაზეთი, რომ ამანე უკეთესს ის არაფერს იზამდაო და ეს გარემოება ძალიან სასიხარულოთ დარჩება იმას შაგირდებისთვისაო.

თეატრი

ქართული წარმოდგენა

24 ღვინობისთვის.

ამ ჯერობით უფ. სუნდუკიანცის კამედია „პეკო“ ითამაშა ქართულმა ტრუპამ და ბევრად უკეთაც ითამაშა, ვინემ როდისმე უთამაშნიათ ეს ჩინებული კამედია ქართულს სცენაზედ.

მხოლოდ თვითონ კინტუა პეპოს როლის აღმსრულებელი (მაჩაბელი) და იმის და ძეკე (იოსელიანის ქალი) იყვნენ, ცუდები კი არა, სუსტები. უფ. მაჩაბელი, მართალია, ახლა ბევრად უკეთ თამაშობდა ამ როლს, ვინემ პირველად ითამაშა ამ გაზაფხულზე; მაგრამ ამ როლს ის, როგორც რიგია, ისე ჩვენის აზრით, მაინც თავის დღეში ვერ შეასრულებს, რადგან იმას აკლია კინტოური მიხვრა-მოხვრა, ნიჭი ბუნებითი, მხურვალე და გრძობით ლაპარაკისა.

მსეც კი უნდა სთქვას კაცმა, პეპო ცოტა არ იყოს ხელოვნური, ავტორის ფანტაზიიდან შექმნილი და არა ნამდვილი ცხოვრებიდან გადმონატული პირია. მინ იტყვის, გლეხი კინტო და საზოგადოთ მდაბიო წოდების ხალხი ყველაზე უკეთ გრძობს ახლანდელი საზოგადოებისა და ცხოვრების უსამარლობას, ეკონომიურ დაზარებას; მდიდრისაგან ღარიბის ტყავის გაძრობას და სხვ., მაგრამ უეჭველია ვერც ერთი ახლანდელი კინტო და გლეხი ვერ წარმოსთქვამს ამას ისეთის სიტყვებით, როგორც ავტორს მიუტია პეპოს ენისათვის. ამიტომაც ამ როლის თამაში ერთობ ძნელია და თუ არ ძალიან ნიჭიერი აქტიორი, რიგაინად პეპოს ვერაყენ, ვერ წარმოდგენს...

მაგიერად, დანარჩენი მოქმედი პირები უფ. სუნდუკიანცისა სწორეთ ნამდვილი ცხოვრებიდან არიან ამოტაცებული და რადგან ამათ როლებს ისეთი მოთამაშეები თამაშობდნენ, როგორც მ. აბაშიძე, მ. შიფიანი, საფაროვისა და ბაბუნიას ქალები, ამიტომაც ასე ცოცხლად, ნამდვილად გამოგვიხატეს ეს პირები.

უფ. მ. აბაშიძე მდიდარი ვაჭარის არუთინ ზიმზიმოვის როლში შეუღარებელი რამ იყო. მარტო ერთის ამ როლის ასე თამაშობისათვის ღირსია, რომ იმას ნიჭიერი და საგანგებო აქტიორი დაუძახოთ. იმის სიტყვა-პასუხი, იმის გავლა-გამოვლა და მიხვრა-მოხვრა სცენაზე, განსაკუთრებით იმის წარმოდგენა იმ „მუნჯი სცენისა“, როდესაც მესამე მოქმედებაში აღმოჩნდება იმის კაი კაცობა და ყველანი ერთად მიადგებიან ლანძღვა-გინებითა და მუქარით

და თვითონ კი შერცხენილნი უხეშობილი დგას, ერთის სიტყვით უკეთესი ნაბიჯი და სიტყვა იმისნ სცენაზე სწორედ, ნამდვილად, კემმარითად იმ კაცს გამოგვიხატავს, რომელიც ასე ნათლად იქნება თვით ავტორსაც არ ჰქონია ტენში გამოხატული და წარმოდგენილი.

საფაროვის ქალმა (აბაშიძისამ) თავისებური ნიჭითა და სიცხოველით წარმოგვიდგინა მდიდარი ვაჭარის ცოლი. ზანსაკუთრებით ჩინებულად გაატარა იმან ის სცენა, როდესაც თავის მახინჯ ქმარს ეშმაკურად ეალერსება, თვალს უხვევს და ამ გარის გაიძვერობით რაც უნდა, იმას აქნევენებს.

ბაბუნიას ქალი (შუშინა—პეპოს დედა) ამისთანა დრამატიულ როლში პირველად გამოვიდა სცენაზე, და ამ თამაშით დავიშტყიკა, რომ იმას ამ როლებისაც ისე ხელოვნურად, ნიჭიერად აღსრულება შესძლებია, როგორც ის ასრულებს ხოლმე ყოველთვის კომიკურ მოხუცებულ ქალების როლებსა. ამისათვის იმას აქვს ჩინებული მიხვრა-მოხვრა სცენაზე, როლის გაგება, მშვენიერი დიქცია, ხმა, რომელიც პირდაპირ გულამდინ მიადწევს და, თუ მგრძობიარე კაცი შეხვდა, ცრემლსაც მოგვრის ხოლმე ისეთის გრძობით და ხმით ლაპარაკობს.

მ. შიფიანი (შიქო—პეპოს ნათესავი) დამჯდარ მოხუცებულებს როლში ყოველთვის ჩინებულია და ამ შემთხვევაშიაც არ უღალატა თავის რეჟურთაციას: დამჯდარ, აუჩქარებელ მოხუცის შიქოს როლს ისე ტიპიურად თამაშობდა, რომ თქვენი თავი თეატრში კი არ გეგონათ, არამედ გეგონებოდით, რომ ნამდვილ ხორჯ-შესხმული მოხუცი სდგას თქვენ თვალ-წინაო.

უფ. საგარელი კინტოს (ძაკულის) როლში ორჯელ გვიანაწავს და იმის ცოცხალმა თამაშმა ორივეჯერ თითქმის აღტაცებაში მოიყვანა მაყურებლები.

სვეტაკლის შემდეგ უფ. მ. მესხია იმერული სცენები სთქვა და იოსელიანის ქალმა იმდერა თ. აკაკი წერეთლის მშვენიერი ლექსი „ჩემო თავო, ბედი არ გიწერია!“ მ. მესხი ჩვენს სცენაზე შეინებრგის ანუ ბარბუნოვის ადგილის დაიჭროს აპირებს.. მს მეორედ არის, რაც ის იმერულ სცენებს ამბობს და ისეთი მხურვალე თანაგრძობა და მოწონება დამსახურა საზოგადოებისა, რომ ამ ოთხშაბათს გამოსვლისა-თანავე გაცხარებული ტაშის-კვირით მიიღეს და წარმოდგენის გათავების შემდეგაც გამოიხმეს.

თფილისში იმერული სცენები მოსწონთ; იმერულ კილოზე თუ კი ცოტათი რიგაინათ რამე სთქვა, უეჭველად ტაშის-კვრას მიიღებს უფ. მესხი; მაგრამ ჩვენ ურჩევთ იმას, რომ მარტო უაზრო ანექლოტებს ნუ მიაწვება; იმერლის, როგორც საზოგადოთ ყოველი ხალხის ცხოვრებაში, ბევრი ისეთი რამ სასაცილო და საოხუნჯო მხარეები მოიპოვება, რომელიც ერთსა-და-იმანვე დროს სასა-



ცილოც იქნება, სასიამოვნო გასაკონიკსცენაზე და იმათი ხასიათის, ცხოვრების, ჩვეულების გამოხატველიც. ჩვენ ურჩევთ უფ. მესხს ამ გვარ სცენებს, ამ მხარეს მოაქციოს იმან განსაკუთრებული ყურადღება.

იოსელიანის ქალმა თვითონაც შეიწუხა თ-ვი თავის სიმღერითა და ჩვენც შეგვაწუხა. სცენაზე გამოსაჩენი ხმა არა აქვს იმას.

განცხადებანი

თფილისის ვაჭრების გამგეობა (კუბერესკი უბრავა), თანხმად უფ. თფილისის ლუბერნატორის ნება-რთვისა, უმორჩილესად სთხოვს უფალთ პირველი და მეორე გილდიის ვაჭრებსა, მობრძანდნენ ამ ოქტომბრის 30-ს დღის 10 საათზე კუბერესკი უბრავის ზალოში, ისტამანოვის სახლებში, განსახილველად საზოგადო კრებაში უბრავის ანგარიშისა და განსახილველად ზოგიერთ საქმეებისა, რომელიც ვაჭრობის საქმეს შეეხება.

(3—2)

უმაწვილი კაცი ამზადებს ბავშვებს პირველ და მეორე კლასისთვის. მსურველს შეუძლია თვისი აღრესი დასტოვოს „ღროების“ რედაქციაში.

(5—5)

შველა წიგნების მაღაზიებში თფილისში და ქუთაისში

ისუიღება

თავარ

ბატონიშვილი

ხუთ-მოქმედებიანი ღრამა
ბადმოკეთებული პ. მესხისაგან

ამ დღეებში გამოვა ვოდვეილი
„**მოდლი და ენდეთ ქალსა!**“
თხზულება მ. ზ. ჯორჯაძისა.

(5—2)

ბიბლიოგრაფიული ცნობა

პირველ-დასაწყისი კურსი რუსულის ენისა მართვალთათვის, შედგენილი მ. ძალანდარიშვილისაგან, მეექვსე გამოცემა გადასწორებული და დამატებული **მ. ბოგებაშვილისაგან**, დაიბეჭდა და ისყიდება ბრიტუროვის წიგნის მაღაზიაში ქუთაის ხიდთან. შასი ეგზემპლიარისა ათი შაური. მაგრამ ვინც ოცს ეგზემპლიარს ერთად იყიდის ნაღდს ფულზედ, იმას წიგნი დაეთმობა ცხარა შაურათ, ხოლო ვინც ორმოც-და-ათზე მოამეტებულს წაიღებს ერთათ ნაღდსავე ფულზედ, მას ეგზემპლიარი მიეცემა ორ აბაზათ.

(15—3)

თფილისის მაღაზის გამგეობისგან
მაღაზის გამგეობისგან კუბერესკი უბრავის, ხარშოვნიკებისა და პასტიალი დეორების პატრონებ, რომ, თანხმად ტრაქტირების წესდების § 17 მუხლისა, ისინი ვალდებული არიან ამ ოქტომბრის (დენობისთვის) განმავლობაში შემოიტანონ მაღაზის გამგეობაში ხვედრი ფული და მიიღონ ვაჭრობის უფლებისათვის ჯეროვანი მოწმობა 1880 წლისათვის. ვინც ამ მოთხოვნისა არ ასრულებს, იმათ ტრაქტირებსა, ხარშოვნიკებსა და პასტიალი დეორებს უბრავა უეჭველად მომავალი 1880 წლის 1 იანვარს დაკეტავს.

ლეღანი

(პროპისი) სურათებით

შედ. ან. ჯუღელისაგან
ბამოვიდა და ისყიდება შემდეგ ადგილებში:
თბილისს: ჩარკვიანის, ვაჩთანოვის და ბრიტუროვის წიგნის მაღაზიებში,
ქუთაისს: სასულიერო სასწავლებელში და ანტ. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში,
სამეგრელოში: სასულიერო სასწავლებელში **დ. სუჯუნას** თოფურიძის ლუქანში და აბაშაში უფ. ანტ. ძეგელიასთან უკოლაში,
მზურგეთს: სასულიერო სასწავლებელში,
ხონში: უფ. ჯალაგანიძესთან,
ზორს: სასულიერო სასწავლებელში,
თელავს: სასულიერო სასწავლებელში და ხირსელოვის წიგნის მაღაზიაში,
სიღნაღს: უფ. პ. ბალაშვილთან.
შასი ერთის ეგზემპლიარისა აბაზი.

რძ. ზნა.	დღია.	საღამ.	II კ.	III კ.	ტელეგრაფი	მან კაპ.	მაზანდა	მან კაპ.	თფილისის სამაჟრნალო.
თფილისი	9 21	5 18	8 კაპ.	მ. კაპ.	მ. ცი სიტყვა თფილისიდან.		თფილისი 27 ოქტომბ.		მრგენ. მ. იდ., წინამძღვაროვ. სახლი.
მცხეთა	10 11	6 27	85	44	ძაგასიის აქეთა მხრის ყველა		შვე. თეთ. ბანჯისა ფუთ.	2 55	ავთამოფებს მიიღებენ ყოველ
ზორი	11 58	9 48	3	1 53	ქალაქებში	50	შვე. წითელი	2 20	დღე დღის 8 საათიდან 10-დინ.
ხაშური	1 29	11 57	4 73	2 42	როსტოვს, მდესას, მოსკოვს,	2	ქერი ფუთი	1 40	მრ შ ა ბ ა თ ს: ლისიცვეი და
სურამი	1 44		4 90	2 61	პეტერბურლს, მარშავს	2	ბამბა მრგენისა, ფუთი.	8 65	ბარალევიჩი—შინაგ. ავთამოფობის.
შვერილა	5 49		7 21	3 69	მსმალეში, შვეიცარიაში	3	— პერიკისა, ფუთა	9 30	ს ა მ შ ა ბ ა თ ს: მერმიშვიეი შინაგ.
რიონი	6 57		8 44	4 31	იტალიაში და საფრანგეთში	3 50	ბაგენტილი ბამბა ფუთი.	11 70	ავთამოფ.; რეიხი—თვალის, შურავ-
სამტრედია	7 51		9 66	4 93	ინგლისში	3 75	მატყლი თუშური ფუთი.	8 20	დვეი—ვენერიულის, და კანისა; ბა-
ახალ-სენაკი	8 43		10 71	5 47	ფოჩტა		— თარაქამისა ფუთი	3 70	ბოვი—გულისა და შინაგ.
ფოთი	9 50		11 24	6 26	ა) თფილისიდან: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ		პარგეში ნუხური სტ.	2 10	მ თ ხ შ ა ბ ა თ ს: ლისიცვეი—ში-
ფოთი	9 3				დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და		ქონი ფუთი	5 80	ნაგ., ასტუ-ცატუროვი—ქალისა და
ახალ-სენაკი	10 14		1 53	7 8	ხუთშ. მსურ.—პარასკ. და ორშ. ძა-		ქონის სანთელი ფუთი.	7 60	ბავშვების ავთამოფ.
სამტრედია	11 5		2 61	1 33	ხეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაი-		სტეარინის სანთელი ფ.	11 65	ხუთ შ ა ბ ა თ ს: მერმიშვიეი—ში-
რიონი	12 13		3 84	1 97	სიდან: თფილისისა და ფოთისაკენ—		სორტი ძროხისა დიიტრა		ნაგ. ავთამოფ. და შურავლევი—კანის
შვერილა	1 18	ლაშე.	5 3	2 56	ყოველ დღე კვირას გარდა. მსურ-		— ცხვრისა, ლიტრა		და ვენერიულის.
სურამი	5 12		11 07	3 74	გეთს—ორშ. და პარასკ.		სპირტი ვედრო	4 50	პ ა რ ა ს კ ე ვ ს ი ქ ნ ე ბ ი ა ნ: ლისი-
ხაშური	5 39		1 37	7 51	წიგნის გაგზავნა რუსეთში		შაქარი ბროც. ფუთ	7 25	ცვეი, შინაგ.; ასტუ-ცატუროვი—ვე-
ზორი	7 5		4 89	2 47	და სამზღვარ გარეთ:		— ფხვნილი ფუთი	5 70	ნერ. და კანის; ბამბავი—გულისა და
მცხეთა	8 50		6 59	4 39	ლა წიგნის		შავა რევალი გრგ.	6 5	შინაგ. ავთამოფ.
თფილისი	9 31		7 56	11 24	დაბეჭდილის (სამი მისხალი)		3 შეთი ქუნჯუთისა ფუთი.	14	შ ა ბ ა თ ს: მერმიშვიეი, შინაგ., შურ-
							7) შამბაქო საშუალო ფთ.	6 70	ავთამოფ.—ვენერ. და კანის რეიხი—